


2016



საქართველოს სახალხო დამცველი

პრევენციის ეროვნული მექანიზმი
ბიულეტენი №7



პერიოდული გამოცემა
შემოდგომა 2016

ფოტო: წამების პრევენციის ასოციაციის მიერ
მომზადებული ვიდეო რგოლი
<http://www.apr.ch/opcat10>

შინაარსი

1. სახალხო დამცველის მისალმება.....	3
2. მთავარი მოვლენა.....	4
2.1 საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მოხსენება გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტის 30-ე სესიაზე.....	4
3. პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობა	4
3.1 განხორციელებული ვიზიტები.....	4
3.1.1 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებისა და პოლიციის სამმართველოების მონიტორინგი.....	4
3.1.2 მიგრანტთა დაბრუნების ერთობლივი ოპერაციის მონიტორინგი.....	5
3.1.3 პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელებული ვიზიტები	5
3.2 დიალოგი დაინტერესებულ მხარეებთან	6
3.3 ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობა	6
3.4 სამუშაო მეთოდოლოგია და თანამშრომელთა სწავლება	9
4. ინფორმაცია თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების შესახებ	10
4.1 N17 პენიტენციური დაწესებულების მიმოხილვა	10
5. რეკომენდაციების შესრულების დინამიკა.....	12
6. საკანონმდებლო მიმოხილვა.....	16
6.1 საკანონმდებლო წინადადებები და ცვლილებები კანონმდებლობაში	16
6.2 საერთაშორისო სტანდარტის მიმოხილვა	17
6.3 საერთაშორისო სტანდარტის ასახვა შიდა კანონმდებლობასა და პრაქტიკაში	18
7. ფოკუსი.....	19
7.1 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა სახელმწიფო ზრუნვის დაწესებულებებში.....	19
8. ექსპერტის მოსაზრება.....	20
9. საერთაშორისო სიახლეები	21

1. სახალხო დამცველის მისალმება



საქართველოს სახალხო დამცველი
უკა ნანუაშვილი

პრევენციის ეროვნული მექანიზმის N7 ბიულეტენი შეიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას ჩვენს მიერ შემოდგომის განმავლობაში განხორციელებული აქტივობების შესახებ. პირველ რიგში აღსანიშნავია საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მოხსენება გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტის 30-ე სესიაზე, სადაც მიმოხილული იყო პრევენციის ეროვნული მექანიზმის შვიდწლიანი საქმიანობა, მისი მიღწევები და არსებული გამოწვევები. ამავე პერიოდში, ჩატარდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებისა და პოლიციის სამმართველოების მონიტორინგი. განხორციელდა რამდენიმე ვიზიტი პენიტენციურ დაწესებულებებში. ასევე, სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს დაბრუნების ერთობლივი ოპერაციის მონიტორინგში.

ბიულეტენში გაეცნობით N17 პენიტენციურ დაწესებულებაში არსებულ მდგომარეობას, N3 დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის დროს გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანალიზს, ინფორმაციას კანონმდებლობაში შესული ცვლილების შესახებ; კერძოდ, საუბარია პენიტენციურ დაწესებულებებში ფოტოგადაღების განხორციელების წესისა და შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ.

ნომერი აგრძელებს საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვას და გთავაზობთ ქვეთავს სახელწოდებით, „რეჟიმი და დისციპლინური პასუხისმგებლობა პენიტენციურ დაწესებულებებში“. წინამდებარე ნომრის ფოკუსს წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა სახელმწიფო ზრუნვის დაწესებულებებში.

აღნიშნული პერიოდი გამოირჩეოდა სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრების სწავლების კუთხით. სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებისა და სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებისთვის ჩატარდა ტრენინგი „პენიტენციურ დაწესებულებებში ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხების მონიტორინგთან დაკავშირებით“. სახალხო დამცველის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლები სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ ქალაქ ზაგრებში, სადაც გაეცნენ ხორვატიის პრევენციის ეროვნული მექანიზმის მუშაობის სტრუქტურას, ანგარიშების მომზადების თავისებურებებს, ფოტო გადაღებასთან დაკავშირებით არსებულ პრაქტიკას, მონიტორინგის ინსტრუმენტებსა და რეკომენდაციების შესრულების კონტროლის მეთოდოლოგიას; დაესწრნენ ტრენინგს პენიტენციურ დაწესებულებებში ჯანმრთელობის უფლების დაცვის შესახებ.

ბიულეტენის წინამდებარე ნომერში ასევე იხილავთ პრევენციის ეროვნული მექანიზმის საკონსულტაციო საბჭოს წევრის ანა არგანაშვილის მოსაზრებებს სახელმწიფო ზრუნვის დაწესებულებებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ.

2. მთავარი მოვლენა

2.1 საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მოხსენება გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტის 30-ე სესიაზე



ფოტო: გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტის 30-ე სესიის ვიდეო ჩანაწერი <http://webtv.un.org/>

2016 წლის 17 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსმა ნიკა კვარაცხელიამ, საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის სახელით, გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტის 30-ე სესიის მონაწილეებს სიტყვით მიმართა. ღონისძიება გაეროს წამების წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმის ძალაში შესვლის 10 წლისთავს ეძღვნებოდა და მასზე ორგანიზაციის მიღწევები და არსებული გამოწვევები შეაჯამეს.

აღსანიშნავია, რომ ამ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებაზე, მსოფლიოს 65 პრევენციის ეროვნული მექანიზმიდან, მხოლოდ 3 ქვეყნის – საქართველოს, ნორვეგიის და ყირგიზეთის პრევენციის ეროვნული მექანიზმების წარმომადგენლები იყვნენ მიწვეული.

საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მოხსენებაში ხაზგასმული იყო 7 წლის განმავლობაში მექანიზმის მიერ შესრულებული სამუშაოს მნიშვნელობა, მიღწევები და არსებული გამოწვევები. მოხსენება შეიცავდა მკაფიო გზავნილს, წამების და არასათანადო მოპყრობის პრევენციის მიზნით, პრევენციის ეროვნული მექანიზმისა და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების თანამშრომლობის გაძლიერების თაობაზე. დადებითად იყო შეფასებული სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებისათვის პენიტენციურ დაწესებულებებში ფოტოგადაღების უფლებამოსილების მინიჭება, თუმცა იქვე იყო აღნიშნული, რომ მიუხედავად შესაბამისი რეკომენდაციისა, საქართველოს პრევენციის ეროვნულ მექანიზმს კვლავაც არ აქვს დაუბრკოლებელი წვდომა დახურულ დაწესებულებებში არსებული სათვალთვალო კამერების ჩანაწერებზე. მოხსენებაში

განსაკუთრებული მადლიერება იყო გამოთქმული გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტის მიმართ, რომელიც აქტიურად უჭერს მხარს საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის შემდგომ გაძლიერებას.

ღონისძიებაზე მოხსენებით გამოვიდნენ გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე და წევრები, გაეროს ჟენევის ოფისის გენერალური დირექტორი, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარი, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი, გაეროს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი, გაეროს ყოფილი და მოქმედი სპეციალური მომხსენებლები წამების საკითხებში, წამების პრევენციის ასოციაციის წარმომადგენელი, წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის პრეზიდენტი და წამების მსხვერპლთა დახმარების ნებაყოფლობითი ფონდის წარმომადგენელი.

30-ე სესიაზე გამომსვლელებმა პრევენციის ეროვნული მექანიზმების მიერ წამების პრევენციის საქმეში შეტანილ წვლილზე ისაუბრეს და ხაზი გაუსვეს ამ მექანიზმების მხარდაჭერის მნიშვნელობას. აშკარა საერთაშორისო აღიარებისა და მხარდაჭერის ფონზე, საქართველოს სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები მაქსიმალურად შეუწყობენ ხელს და მჭიდროდ ითანამშრომლებენ საქართველოს პრევენციის ეროვნულ მექანიზმთან.

3. პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობა

3.1 განხორციელებული ვიზიტები

3.1.1 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებისა და პოლიციის სამმართველოების მონიტორინგი

სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა 2016 წლის 12–17 სექტემბერს მონიტორინგი განახორციელეს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, 21–24 ოქტომბერს სამცხე-ჯავახეთის, ხოლო 7–10 ნოემბერს გურიის რეგიონში მდებარე შსს დროებითი მოთავსების იზოლატორებსა და შსს სამმართველოებში.

მონიტორინგების მიმდინარეობისას სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა დაათვალიერეს დროებითი მოთავსების იზოლატორებში არსებული ფიზიკური გარემო, გაესაუბრნენ დაკავებულ პირებსა და თანამშრომლებს,

შეამოწმეს 2016 წელს დაკავებულ პირთა საქმეებში არსებული დოკუმენტაცია, მათ შორის, დაკავების, ასევე დროებითი მოთავსების იზოლატორში გარეგნული დათვალიერების ოქმები და სასწრაფო სამედიცინო ბრიგადის გამოძახების ბარათები.

ჯგუფის წევრები ხელმძღვანელობდნენ წინასწარ შემუშავებული ინსტრუმენტებით. შემოწმების შედეგად არაერთი საყურადღებო შემთხვევა იქნა დოკუმენტირებული, სადაც შესაძლებელია ადგილი ჰქონოდა პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობას. ანალოგიურად, პოლიციის სამმართველოებში ჯგუფის წევრები გაესაუბრნენ პასუხისმგებელ თანამშრომლებს და შეამოწმეს დაკავებულ პირთა აღრიცხვისა და დროებითი მოთავსების იზოლატორებში დაკავებულ პირთა გადაყვანის ჟურნალები; დაათვალიერეს სამმართველოების შენობები, შეამოწმეს, თუ რამდენად ხდება ოჯახის ინფორმირება დაკავების შემდგომ, რამდენად ხელმისაწვდომია ადვოკატი და ექიმი, გამოკითხეს პოლიციის თანამშრომლები საგამომიებო მოქმედებების ჩატარების პროცედურის შესახებ.

ამჟამად სპეციალური პრევენციული ჯგუფი ამუშავებს მონიტორინგის დროს მოპოვებულ დიდი მოცულობის მონაცემებს და მონიტორინგის შედეგებს უახლოეს მომავალში გააცნობს საზოგადოებას.

3.1.2 მიგრანტთა დაბრუნების ერთობლივი ოპერაციის მონიტორინგი

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლები 2016 წლის 27 სექტემბერსა და 29 ნოემბერს თბილისის აეროპორტიდან გერმანიის ქალაქ დიუსელდორფისა და საბერძნეთის დედაქალაქ ათენის აეროპორტებში გაემგზავრნენ, სადაც მიგრანტთა დაბრუნების ერთობლივი ოპერაციების მონიტორინგი განახორციელეს. 27 სექტემბერს საქართველოს 39 მოქალაქის დეპორტაციის პროცესს დაესწრნენ, 29 ნოემბერს გერმანიიდან 29 მოქალაქის და საბერძნეთიდან 10 მოქალაქის დაბრუნების პროცესს.

დეპორტირებული პირები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ესკორტს გერმანიის, შვეიცარიისა და საბერძნეთისა სასაზღვრო პოლიციამ თვითმფრინავის ბორტზე (დიუსელდორფსა და ათენში) გადასცა. დეპორტაციის განხორციელებას კოორდინირებას

უწევდა ევროპის კავშირის სახელმწიფოთა გარე საზღვრების მართვის ოპერატიული თანამშრომლობის ევროპული სააგენტო „ფრონტექსი (FRONTEX)“.

დასაბრუნებელი პირების მიღების, შემოწმების და მგზავრობის პროცესის მონიტორინგი უწყვეტად მიმდინარეობდა. დაბრუნების ოპერაციის განმავლობაში ძალისა და სპეციალური საშუალებების გამოყენება არ მომხდარა. ბორტზე რაიმე სახის ინციდენტს ადგილი არ ჰქონია; თუმცა, რამდენიმე ხარვეზი დაფიქსირდა. კონკრეტულად კი, საქართველოს ესკორტის წევრი ექიმისათვის არ იყო წინასწარ მიწოდებული სრულყოფილი ინფორმაცია ბორტზე არსებული ზოგიერთი პირის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და დიაგნოზის შესახებ, მითუმეტეს, რომ ერთ-ერთ დასაბრუნებელ პირს ფსიქიკური აშლილობის აშკარა ნიშნები აღენიშნებოდა.

დასაბრუნებელ პირებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ კვლავაც პრობლემურია დეპორტირებული პირების მობილური ტელეფონების დალუქვისა და მათთვის დეპორტაციამდე რამდენიმე საათით ადრე ოჯახთან სატელეფონო კონტაქტის უზრუნველყოფის საკითხი. აღსანიშნავია, რომ წინა მონიტორინგების მსგავსად, დეპორტირებულებისთვის ტელეფონით სარგებლობის უზრუნველყოფა განხორციელდა მხოლოდ სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ „ფრონტექსის“ წარმომადგენლებისათვის პრობლემის შეტყობინების შემდგომ.

3.1.3 პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელებული ვიზიტები

მონიტორინგი N9 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში

პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატის ფარგლებში, სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა, 2016 წლის 4 ოქტომბერს ვიზიტი განახორციელა N9 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, სადაც დაწესებულების მაღაზიასა და სამზარეულოში საკვებისა და პროდუქტების შენახვის პირობები, ვადები და ვარგისიანობა შეამოწმა. უნდა აღინიშნოს, რომ

სახალხო დამცველის აპარატის ინიციატივით, სამხარეულოსა და მაღაზიის შემოწმება, სსიპ სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან ერთად განხორციელდა. შემოწმებების შედეგად დაწესებულებაში დარღვევები არ იქნა აღმოჩენილი.

მონიტორინგი N7 პატიმრობისა და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება

სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა 2016 წლის 7 ოქტომბერს ვიზიტი განახორციელა N7 პატიმრობისა და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, სადაც დაწესებულების სამედიცინო რეფერალის დროულობის საკითხი შეამოწმა.

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწესებულების მთავარი ექიმი უმეტეს შემთხვევებში დროულად აგზავნის სამედიცინო რეფერალის ერთიან ელექტრონულ ბაზაში დარეგისტრირების მოთხოვნას, ამავდროულად შემთხვევებში დროულად ხდება სამედიცინო დეპარტამენტიდან დადასტურება. მიუხედავად ამისა, უკვე დადასტურებული შემთხვევებისას პატიმართა დროულად გადაყვანა სამკურნალო დაწესებულებაში პერიოდულად პრობლემას წარმოადგენს.

სოციოლოგიური კვლევის კითხვარის პილოტირება N8 დაწესებულებაში

სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრების მიერ 2016 წლის 26 ოქტომბერს, „ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს“ მიერ დაფინანსებული პროექტის - „ჯანმრთელობის დაცვის უფლების რეალიზება პენიტენციურ დაწესებულებებში“ ფარგლებში, განხორციელდა პატიმრებთან გასაუბრების კითხვარის პილოტირება N8 დაწესებულებაში.

კითხვარის პილოტირება ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ მიერ დაფინანსებული პროექტის - „ჯანმრთელობის უფლების დაცვის ხელშეწყობა პენიტენციურ სისტემაში“ ფარგლებში გაიმართა. პროექტი მიზნად ისახავს პენიტენციურ სისტემაში ჯანმრთელობის ხელშეწყობის, პრევენციული ჯანდაცვისა და დაავადებათა პრევენციის კუთხით არსებული მდგომარეობის, მათ შორის შესაბამისი ნორმატიული ბაზის, პატიმრობის პირობების პატიმართა ჯანმრთელობაზე ზემოქმედებისა და დაავადების რისკ ფაქტორების შესწავლას და შეფასებას. პროექტი

ასევე ითვალისწინებს მონიტორინგს, რომელიც მოიცავს სოციოლოგიურ კვლევას, სამედიცინო ხასიათის დოკუმენტაციის ანალიზს და სავსე სამუშაოებს.

3.2 დიალოგი დაინტერესებულ მხარეებთან

- პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრების შეხვედრა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ადვოკატებთან

2016 წლის 25 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სამცხე-ჯავახეთის ოფისის წარმომადგენლები და პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრები სამცხე-ჯავახეთში სისხლის სამართლის მიმართულებით მომუშავე ადვოკატებს და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდნენ.

2016 წლის 11 ნოემბერს ანალოგიური შეხვედრა გაიმართა გურიაში.



ფოტო: საქართველოს სახალხო დამცველი

შეხვედრების ძირითად მიზანს წარმოადგენდა დაკავებულ პირთა წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება. თავის მხრივ, სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებმა შეხვედრის მონაწილეებს სახალხო დამცველის მანდატი და საქმიანობის სფერო გააცნეს.

მსგავსი შეხვედრები უკვე გაიმართა სახალხო დამცველის აპარატის იმერეთის, რაჭა ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, კახეთისა და სამეგრელოს რეგიონულ ოფისებში. შეხვედრები საქართველოს სხვა რეგიონებშიც გაგრძელდება.

3.3 ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობა

- ფსიქიატრიული დაწესებულებების მონიტორინგის შესახებ ჟენევაში გამართულ სიმპოზიუმში საქართველოში პრევენციის

ეროვნული მექანიზმის მუშაობა დადებითად შეფასდა



ფოტო: წამების პრევენციის ასოციაცია

2016 წლის 6-7 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსმა ნიკა კვარაცხელიამ მონაწილეობა მიიღო „წამების პრევენციის ასოციაციის“ მიერ ორგანიზებულ სიმპოზიუმში, რომელიც მიემდგვნა ფსიქიატრიული დაწესებულებების მონიტორინგთან დაკავშირებულ საკითხებს.

შეხვედრის მიმდინარეობისას, რომელშიც მონაწილეობდნენ სხვადასხვა ქვეყნის პრევენციის ეროვნული მექანიზმების წარმომადგენლები, გაეროს სპეციალური მომხსენებელი ჯანმრთელობის უფლების საკითხებზე ბატონი დეინიუს პურასი. გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტისა და წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის წევრები, გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის ვიცე პრეზიდენტი ქალბატონი სილვია ქუენი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები და ექსპერტები, საუბარი შეეხო ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მყოფი ფსიქოსოციალური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კუთხით პრევენციის ეროვნული მექანიზმების მუშაობის მნიშვნელობას, მონიტორინგის განხორციელებისას არსებულ პრაქტიკულ გამოწვევებს და მათი გადაჭრის გზებს.

ნიკა კვარაცხელიამ სიმპოზიუმის მონაწილეებს გააცნო საქართველოში პრევენციის ეროვნული მექანიზმის მუშაობის სპეციფიკა და მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ძირითადი პრობლემური საკითხები. მან ასევე ისაუბრა მედიკამენტური მკურნალობის ადეკვატურობის, ზედოზირებისა და პაციენტის ქიმიური შეზღუდვის საკითხის შეფასების

აუცილებლობაზე და წარმოადგინა აღნიშნული საკითხების შესწავლის მეთოდოლოგია, რომელსაც პრევენციის ეროვნული მექანიზმი საქართველოში იყენებს.

სიმპოზიუმის მონაწილეებმა საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის სამუშაო მეთოდოლოგია დადებითად შეაფასეს, წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის ექსპერტმა, ტიმოთი ჰარდინგმა კი განსაკუთრებულად გაუსვა ხაზი იმ ფაქტს, რომ წარმოდგენილი მეთოდოლოგია სრულად შეესაბამება წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის მიდგომებს და სამუშაო მეთოდოლოგიას.

ასევე კარგი პრაქტიკის მაგალითად იქნა მიჩნეული პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრთა მულტიდისციპლინური შემადგენლობა, დამუშავებული და გაწერილი სამუშაო მეთოდოლოგია, პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრების ინტენსიური სწავლება, ეფექტური თანამშრომლობა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტთან, მონიტორინგის ანგარიშის გამოქვეყნება და ამ ანგარიშში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციით დადგენილი სტანდარტების გამოყენება.

• პრევენციის ეროვნული მექანიზმის საკონსულტაციო საბჭოს სხდომა



ფოტო: საქართველოს სახალხო დამცველი

2016 წლის 22 სექტემბერს პრევენციის ეროვნული მექანიზმის საკონსულტაციო საბჭოს მეშვიდე სხდომა გაიმართა. შეხვედრაზე პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ 2016 წლის ზაფხულში განხორციელებული საქმიანობის ანგარიში წარმოადგინეს, განიხილეს ამავე პერიოდში, პენიტენციურ დაწესებულებებში და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებსა და

პოლიტიკის სამმართველოებში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები, გაეცნენ ინფორმაციას დაგეგმილი სხვადასხვა კვლევებისა თუ აქტივობების, მათ შორის, ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოს“ მიერ დაფინანსებული პროექტის „ჯანმრთელობის უფლების დაცვის ხელშეწყობა პენიტენციურ სისტემაში“ მიმდინარეობის შესახებ.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის საკონსულტაციო საბჭოს წევრებმა სახალხო დამცველს წარუდგინეს საკუთარი მოსაზრებები პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ განხორციელებული აქტივობების, ანგარიშების, სამუშაო მეთოდოლოგიისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის საკონსულტაციო საბჭო საქართველოს სახალხო დამცველის ბრძანებით 2014 წლის 15 დეკემბერს შეიქმნა და მისი მიზანია წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის პრევენციის კუთხით პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობის ხელშეწყობა.

საბჭოს შემადგენლობაში არიან საქართველოს სახალხო დამცველი, სახალხო დამცველის მოადგილეები, სახალხო დამცველის აპარატის დეპარტამენტის ხელმძღვანელები და პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატთან დაკავშირებული აკადემიურ/საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწე, წამების პრევენციისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მოწვეული ექსპერტები.

- **სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა ვენაში გამართულ სამუშაო შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა**



ფოტო: ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო)
<http://www.osce.org/odihr/274936>

2016 წლის 13-14 ოქტომბერს, ავსტრიის დედაქალაქ ვენაში გაიმართა ეუთოს რეგიონის პრევენციის ეროვნული მექანიზმების ყოველწლიური სამუშაო შეხვედრა, რომელშიც პრევენციის ეროვნული მექანიზმების წარმომადგენლების გარდა, ასევე მონაწილეობდნენ გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე, ბატონი მალკოლმ ევანსი, წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის თავმჯდომარე, ბატონი მიკოლა გნატოვსკი, წამების პრევენციის ასოციაციის წევრები და სფეროში მოღვაწე ექსპერტები.

შეხვედრის მიმდინარეობისას განიხილეს გაეროს წამების წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმის ძალაში შესვლიდან, 10 წლის განმავლობაში, წამების პრევენციის კუთხით მიღწეული პროგრესი და არსებული გამოწვევები. საუბარი შეეხო პრევენციის ეროვნული მექანიზმების რეკომენდაციების შესრულების ადვოკატირებისა და კონტროლის მექანიზმის გაუმჯობესების სტრატეგიას. ხაზი გაესვა წამების პრევენციის მიზნით სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან კონსტრუქციული დიალოგის წარმოების მნიშვნელობას. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსმა, ნიკა კვარაცხელიამ შეხვედრის მონაწილეებს გააცნო საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობა, მიღწეული პოზიტიური შედეგები და არსებული გამოწვევები.

- **სახალხო დამცველის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლების სამუშაო ვიზიტი ხორვატიაში**



ფოტო: ხორვატიის ომბუდსმენი

2016 წლის 22-24 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლები სამუშაო/სასწავლო ვიზიტით ხორვატიის დედაქალაქ ზაგრებში იმყოფებოდნენ. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა ხორვატიის პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატისა და საქმიანობის გაცნობა.

ვიზიტის ფარგლებში პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტის წარმომადგენლები გაეცნენ ხორვატიის პრევენციის ეროვნული მექანიზმის მუშაობის სტრუქტურას, ანგარიშების მომზადების თავისებურებებს, ფოტო გადაღებასთან დაკავშირებით არსებულ პრაქტიკას, მონიტორინგის ინსტრუმენტებსა და რეკომენდაციების შესრულების კონტროლის მეთოდოლოგიას. საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ხორვატ კოლეგებს გააცნეს საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატის ფარგლებში გაწეული მუშაობის შედეგები.

სასწავლო ვიზიტის ფარგლებში, პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა მოინახულეს ზაგრების პოლიციის იზოლატორი, მიგრანტთა განთავსების ცენტრი და პენიტენციური დაწესებულება. ვიზიტის ბოლოს გაიმართა შემაჯამებელი დისკუსია, სადაც ხაზი გაესვა გამოცდილების ორმხრივად გაზიარების მნიშვნელობასა და სამომავლო თანამშრომლობის საჭიროებას.

3.4 სამუშაო მეთოდოლოგია და თანამშრომელთა სწავლება

- ტრენინგი პენიტენციურ დაწესებულებაში ფოტოგადაღების შესახებ



ფოტო: საქართველოს სახალხო დამცველი

პატიმრობის კოდექსის მე-60 მუხლში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, სახალხო დამცველს და სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს 2016 წლის 1 სექტემბრიდან პატიმრების სხეულზე არსებული დაზიანებებისა და პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული მატერიალური პირობების ფოტოგადაღების უფლება მიენიჭათ. ამ ახალი უფლებამოსილების სრულყოფილად განხორციელებისათვის 2016 წლის 28-30 ოქტომბერს, სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის, სისხლის

სამართლის მართლმსაჯულებისა და რეგიონული დეპარტამენტების თანამშრომლებს ფოტოგადაღების საკითხებზე 3 დღიანი ტრენინგი ჩაუტარდათ.

ტრენინგზე „საქართველოს ფოტოგრაფთა ასოციაციის“ გამგეობის თავმჯდომარემ კახა ფხაკაძემ მონაწილეებს ფოტოგადაღების საფუძვლები, ფოტოკამერასთან მუშაობის და ფოტოების დამუშავების ტექნიკური საშუალებები გააცნო. კურსი მოიცავდა პრაქტიკულ მეცადინეობებს, საცდელ ფოტოგადაღებას და გადაღებული ფოტოების განხილვას.

სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსმა ნიკა კვარაცხელიამ პენიტენციურ დაწესებულებებში ფოტოგადაღების მარეგულირებელი წესებსა და შესაბამისი ოქმების შევსების პროცედურაზე ისაუბრა.

ღონისძიება ევროპის საბჭოს პროექტის - „სახალხო დამცველის ოფისის საქმიანობის გაძლიერება საქართველოში“ - ფარგლებში ჩატარდა.

- სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებსა და სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს ტრენინგი ჩაუტარდათ



ფოტო: საქართველოს სახალხო დამცველი

2016 წლის 3-5 ნოემბერს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებსა და სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს, ჩაუტარდათ ტრენინგი „პენიტენციურ დაწესებულებებში ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხების მონიტორინგთან დაკავშირებით“.

ტრენინგის მიზანი იყო პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხებთან დაკავშირებით, სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებისა და სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრების

პროფესიული უნარ ჩვევების ამაღლება. მათ შორის, ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა სამედიცინო შემოწმება და დოკუმენტაცია, ფსიქიატრიული ჯანმრთელობის დაცვისა და მკურნალობის გეგმა, ფსიქოაქტიური მედიკამენტები და წამალდამოკიდებულ პაციმართა მენეჯმენტი, სუიციდის პრევენცია, ინტერვიუები პერსონალსა და პაციენტებთან და ფსიქიკური ჯანმრთელობის სხვა პრობლემები პენიტენციურ დაწესებულებებში. ტრენინგის განმავლობაში გაიმართა არაერთი დისკუსია და გაკეთდა სხვადასხვა პრაქტიკული სავარჯიშოები.

ტრენინგს უძღვებოდნენ ოქსფორდის ზოგადი პროფილისა და სასამართლო სამედიცინო ფსიქიატრიის რეგისტრირებული ექიმი, ევროპის საბჭოს წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის მედიცინის/ფსიქიატრიის ექსპერტი დოქტორი კლაივ მიუ და ოქსფორდის ეროვნული სერვისების ფონდის სასამართლო სამედიცინო ფსიქიატრიის რეგისტრირებული ექიმი დოქტორი ჯულია კარტრაითი.

ტრენინგის ფარგლებში, ასევე განხორციელდა სასწავლო ვიზიტი N18 სამკურნალო და N8 პაციმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში. სასწავლო ვიზიტის ბოლოს გაიმართა ტრენინგის მონაწილეთა შეხვედრა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს წარმომადგენლებთან, სადაც ხაზი გაესვა პენიტენციურ დაწესებულებებში ფსიქიკური ჯანმრთელობის კუთხით არსებულ გამოწვევებს და ამ კუთხით სამინისტროსა და სახალხო დამცველის/სპეციალური პრევენციული ჯგუფის თანამშრომლობის აუცილებლობას.

ღონისძიება გაიმართა ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამის ფარგლებში „ადამიანის უფლებები ციხეებსა და დახურული ტიპის სხვა დაწესებულებებში“.

• **ტრენინგი პენიტენციურ დაწესებულებებში ჯანმრთელობის უფლების შესახებ**



ფოტო: საქართველოს სახალხო დამცველი

2016 წლის 14 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს პენიტენციურ დაწესებულებებში ჯანმრთელობის უფლების დაცვის შესახებ ტრენინგი ჩაუტარდათ.

სოციოლოგმა იაგო კაჭკაჭიშვილმა და ექსპერტმა ჯანდაცვის საკითხებში მერაბ ქავთარაძემ ტრენინგის მონაწილეებს გააცნეს სოციოლოგიური კვლევის მეთოდოლოგია, პაციმრებთან გასაუბრების კითხვარი, სამედიცინო პერსონალთან გასაუბრების კითხვარი და სხვა ინსტრუმენტები.

ღონისძიება ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ მიერ დაფინანსებული პროექტის – „ჯანმრთელობის უფლების დაცვის ხელშეწყობა პენიტენციურ სისტემაში“ ფარგლებში გაიმართა. პროექტი მიზნად ისახავს პენიტენციურ სისტემაში ჯანმრთელობის ხელშეწყობის, პრევენციული ჯანდაცვისა და დაავადებათა პრევენციის კუთხით არსებული მდგომარეობის, მათ შორის შესაბამისი ნორმატიული ბაზის, პაციმრობის პირობების პაციმართა ჯანმრთელობაზე ზემოქმედებისა და დაავადების რისკ-ფაქტორების შესწავლას და შეფასებას. პროექტი ასევე ითვალისწინებს მონიტორინგს, რომელიც მოიცავს სოციოლოგიურ კვლევას, სამედიცინო ხასიათის დოკუმენტაციის ანალიზს და სხვა სახის სამუშაოებს.

4. ინფორმაცია თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების შესახებ

4.1 N17 პენიტენციური დაწესებულების მიმოხილვა

N17 პენიტენციური დაწესებულების მიმოხილვისას წარმოგიდგენთ აღნიშნული დაწესებულების შესახებ, საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის

ანგარიშებში სხვადასხვა წლებში გამოქვეყნებულ ინფორმაციას.

სასჯელადსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის N17 პენიტენციური დაწესებულება რუსთავში მდებარეობს. იგი 2050 მსჯავრდებულზეა გათვლილი.¹

2010 წლამდე რუსთავის N17 დაწესებულება წარმოადგენდა N2 საერთო, მკაცრი და საპრობილის რეჟიმის სასჯელადსრულების დაწესებულებას.

2009 წლის მდგომარეობით დაწესებულება გადატვირთული იყო. კონკრეტულად კი, 2744 პატიმარზე გათვლილ დაწესებულებაში, 3315 მსჯავრდებული იყო მოთავსებული. ხუთი საცხოვრებელი კორპუსიდან ოთხში საკნების სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელი იყო და საჭიროებდა რემონტს. 11 საკანი იყო გამოყენებული კარცერად, სადაც განთავსებული იყო 17 მსჯავრდებული, რომელთა უმეტესობამ არ იცოდა, თუ რამდენი ხნით იყვნენ მოთავსებული კარცერში. კარცერების სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა იყო საშუალო.

2010 - 2011 წლისათვის არსებული მონიტორინგის ანგარიშებიდან ირკვევა, რომ დაწესებულებაში მთავარ პრობლემებს შორის სახელდება გადატვირთულობა. ყველა პატიმარი არ იყო უზრუნველყოფილი საკუთარი საწოლით. საკნებში ინფრასტრუქტურისა და სანიტარულ-ჰიგიენური პირობების კუთხით არსებული მდგომარეობა იყო არადამაკმაყოფილებელი. ცუდი პირობები იყო სამართაო საკანში. სამართაო საკანში მოთავსებული პატიმრები მოკლებულნი იყვნენ გასეირნების, შხაპის მიღების, მაღაზიითა და ბიბლიოთეკითა სარგებლობის შესაძლებლობას.

2011 წლისათვის დაწესებულებაში მოწყობილი იყო პალატა-საკანი, სადაც ხდებოდა სტაციონალური მომსახურების გაწევა. პალატა-საკანი იყო გადატვირთული და მასში ზოგ შემთხვევაში პაციენტთა რაოდენობა 10-15-ს აჭარბებდა.

¹ საქართველოს სასჯელადსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება №106 „საქართველოს სასჯელადსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დაწესებულებების შესახებ“ 2015 წლის 27 აგვისტო, თბილისი.

დადებითად აღსანიშნავია, რომ 2011 წლისათვის დაწესებულებაში, პატიმრობის კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად, აშენდა სასტუმროს ტიპის ოთახები და მსჯავრდებულებს ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის შესაძლებლობა მიეცათ.

2012 წლისათვის N17 დაწესებულებაში რამდენიმე პატიმარს ჰქონდა გამოცხადებული შიმშილობა. პატიმრების განცხადებით შიმშილობის მიზეზი იყო წამების ფაქტების გაპროტესტება და სამართლიანი არჩევნების ჩატარების მოთხოვნა.

2012 წლისათვის დაწესებულების I, II, III და IV საცხოვრებელ კორპუსებში არსებული საკნების სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა არ იყო დამაკმაყოფილებელი და საჭიროებდა კაპიტალურ რემონტს.

2013-2014 წლის მონაცემებით დაწესებულების საცხოვრებელ საკნებში არსებული ფართი არ შეესაბამებოდა საქართველოს პატიმრობის კოდექსის შესაბამისად დადგენილ მოთხოვნებს და რემონტს საჭიროებდა. საკარანტინო საკნების ინფრასტრუქტურა ვერ უზრუნველყოფდა ინფექციის კონტროლის მიზანს.

2014 წლისთვის სრულად არ იყო დაცული პატიმრების კვების სტანდარტები. პატიმრების ნაწილი უგემური საკვების გამო უკმაყოფილებას გამოხატავდა. არ ხდებოდა დაწესებულების მაღაზიის პროდუქციით სათანადო მომარაგება. არადამაკმაყოფილებელი იყო საექიმო-სამედიცინო პუნქტის სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა. არასაკმარისი იყო სამედიცინო და დამხმარე პერსონალის რაოდენობა.

მსჯავრდებულებს პრობლემები ექმნებოდათ სატელეფონო ზარების განხორციელებასთან დაკავშირებით. დაწესებულების ტერიტორიაზე არსებულ მაღაზიაში მუდმივად იყო სატელეფონო ბარათების დეფიციტი.

2015-2016 წლების მონაცემებით დაწესებულებაში არსებობს სარეაბილიტაციო აქტივობებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა; კერძოდ, სასეირნო ეზოები და სპორტული მოედნები. დადებითად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მსჯავრდებულებს აქვთ პრესის გაცნობისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით სარგებლობის შესაძლებლობა. კონკრეტულად კი, საკანში აქვთ ტელევიზორი და რადიო, მსჯავრდებულებს თავისუფალ დროს ეძლევათ რადიოტრანსლაციის მოსმენისა და ტელეტრანსლაციის ნახვის უფლება.

აღნიშნულის მიუხედავად, სახალხო დამცველი ხაზს უსვამს, რომ დაწესებულებაში გასატარებელია კომპლექსური სამუშაოები ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული აქტივობებისა და მრავალფეროვანი სარეაბილიტაციო პროგრამების შესატავაზებლად.

2015-2016 წლის მონაცემებით დაწესებულებაში სხვა წლების მსგავსად, არასათანადო მოპყრობის სავარაუდო შემთხვევების დოკუმენტირების კუთხით მნიშვნელოვანი პრობლემებია. დაწესებულებაში აგრეთვე პრობლემურია უსაფრთხოების ღონისძიებების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების შაბლონური ხასიათი, სათანადო დასაბუთების არარსებობა. დაწესებულებაში სხვა წლების მსგავსად, ისევ მწვავედ დგას კრიმინალური სუბკულტურის საკითხი, რაც პატიმრებს შორის ძალადობისა და ჩაგვრის მიზეზი ხდება.


მიუხედავად იმისა, რომ ყველა მსჯავრდებულს აქვს საკუთარი საწოლი, დაწესებულება ამჟამად გარკვეულწილად გადატვირთულია. კერძოდ, ყველა მსჯავრდებული არ არის უზრუნველყოფილი პატიმრობის კოდექსით დადგენილი მინიმალური საცხოვრებელი ფართობით - 4 კვ.მ.-ით.

N17 დაწესებულებაში სამედიცინო და დამხმარე პერსონალის რაოდენობა არასაკმარისია. დაწესებულების სამედიცინო ბლოკში სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნების ზედმიწევნით მკაცრი დაცვა კვლავ არ ხდება.

კვლავ პრობლემურია ის ფაქტი, რომ ხანმოკლე პაემანი ხორციელდება მინის გამყოფი ბარიერის მიღმა, რაც პატიმარს არ აძლევს შესაძლებლობას ჰქონდეს ფიზიკური კონტაქტი ოჯახის წევრებთან.

5. რეკომენდაციების შესრულების დინამიკა

5.1 2015 წლის 7-9 მაისს სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის შემდგომ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება.



1. მოხდეს სამართლო საკნებში, ე.წ. „უსაფრთხო საკნებში“ და სამედიცინო ნაწილის საკნებში ნაწილში ელექტრონული მეთვალყურეობის სისტემების დემონტაჟი, რათა შესაძლებელი გახდეს მათში პატიმრების მოთავსება მეთვალყურეობის დაწესების გარეშე, თუ არ არსებობს ამის აუცილებელი საჭიროება

/რეკომენდაცია არ არის შესრულებული/

2016 წელს განხორციელებული ვიზიტის დროს, სათვალთვალო კამერა 2015 წლის მსგავსად, ყველა სამართლო საკანსა და სამედიცინო საკანში იყო დამონტაჟებული.

2. მიიღოს შესაბამისი ზომები დინამიკური უსაფრთხოების პრაქტიკაში განხორციელების უზრუნველსაყოფად

/რეკომენდაცია არ არის შესრულებული/

2016 წელს განხორციელებული შემოწმების შედეგად სპეციალური პრევენციული ჯგუფი მივიდა დასკვნამდე, რომ N3 დაწესებულების ადმინისტრაცია ძირითადად ეყრდნობა ე.წ. „სტატიკური უსაფრთხოების“ ელემენტებს (განცალკევება, ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა), რაც ვერ უზრუნველყოფს დაწესებულებაში, ადამიანის უფლებების დაცვის პირობებში, უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მიზნის მიღწევას.

3. მიიღოს ყველა საჭირო ზომა და უზრუნველყოს დაწესებულებაში სათანადო ხელოვნური ვენტილაცია

/რეკომენდაცია - გაზიარებულია- ნაბიჯები გადადგმულია/

სახალხო დამცველი მიესალმება აღნიშნული რეკომენდაციის გაზიარებასა და რეკომენდაციის შესრულების მიზნით გარკვეული ნაბიჯების გადადგმას. კონკრეტულად კი, საკნების განიავების პრობლემის აღმოფხვრის მიზნით, დაწესებულებაში არსებულ საცხოვრებელ საკნებში 2015 წელს დამონტაჟდა

კონდიციონერები, რაც მისასაღმებელია, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სათანადო ვენტილაციის უზრუნველყოფად აუცილებელია ცენტრალური სავენტილაციო (გამწოვი) სისტემის ფუნქციონირება.

4. თითოეული პატიმარი უზრუნველყოს 4 კვადრატული მეტრის სიდიდის პირადი ფართით

/რეკომენდაცია შესრულებულია/

დადებითაც უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულების საცხოვრებელ საკნებში არსებული ფართი ვიზიტის დროს სრულად შეესაბამებოდა საქართველოს „პატიმრობის კოდექსის“ მე-15 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად დადგენილ მოთხოვნას.²

5. მიიღოს ყველა საჭირო ზომა სასჯელაღსრულების N3 დაწესებულების სოციალური განყოფილების მატერიალურ-ტექნიკური რესურსით უზრუნველსაყოფად, რათა დაწესებულებაში დაინერგოს და გაძლიერდეს სარეაბილიტაციო აქტივობები

/რეკომენდაცია არ არის შესრულებული/

2016 წელს განხორციელებული ვიზიტის დროს, დაწესებულების სოციალური განყოფილება არ იყო უზრუნველყოფილი შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსით.

6. სოციალური განყოფილების სამტატო ნუსხას დაემატოს ფსიქოლოგის ერთი სამტატო ერთეული

/რეკომენდაცია არ არის შესრულებული/

აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული რეკომენდაცია შესრულებული არ არის. 2016 წელს განხორციელებული ვიზიტის დროს, დაწესებულების სოციალური განყოფილების სამტატო ნუსხაში არ იყო დამატებული ფსიქოლოგის ერთი სამტატო ერთეული.

7. მიიღოს ყველა ზომა, რათა მაქსიმალურად შეეწყოს ხელი დაწესებულების სოციალურ განყოფილებას დაგეგმოს და პატიმრების მონაწილეობით ჩაატაროს სხვადასხვა ღონისძიებები

/რეკომენდაცია - გაზიარებულია - ნაბიჯები გადადგმულია/

სახალხო დამცველი მიესალმება სპეციალური პრევენციული ჯგუფის დაწესებულებაში 2016 წლის ვიზიტის შემდეგ გარკვეული სარეაბილიტაციო აქტივობების განხორციელების დაწყებას. თუმცა, აღნიშნულ სარეაბილიტაციო პროგრამებს სახალხო დამცველი დამაკმაყოფილებელ აქტივობად ვერ შეაფასებს. სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო არ დაზოგავს თავის ძალისხმევას დაწესებულებაში მრავალფეროვანი სარეაბილიტაციო აქტივობების დანერგვისა და გაძლიერებისთვის.

8. მიიღოს ყველა საჭირო ზომა დაწესებულების ბიბლიოთეკის განახლების უზრუნველსაყოფად; პერიოდულად განხორციელდეს ბიბლიოთეკის მომარაგება პრესით

/რეკომენდაცია არ არის შესრულებული/

აღნიშნული რეკომენდაცია არ არის შესრულებული. N3 დაწესებულებაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, სადაც ქართულთან ერთად შესაძლებელია რუსული, თურქული და სპარსული წიგნების მოპოვება. სამწუხაროდ, ბიბლიოთეკაში არ არის თანამედროვე წიგნები. დაწესებულების სოციალური განყოფილების უფროსის განმარტებით, კვირაში ერთხელ დაწესებულებას უსასყიდლოდ გადაეცემა გაზეთ „ბათუმელების“ 10 ეგზემპლარი. სხვა ჟურნალ-გაზეთები დაწესებულებაში არ შედის.

9. მიიღოს ყველა საჭირო ზომა დაწესებულებაში პატიმართა წახალისების პოლიტიკის გასაძლიერებლად

/რეკომენდაცია არ არის შესრულებული/

N3 დაწესებულებიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად,³ 2015 წლის ბოლო 5 თვის მანძილზე დაწესებულებაში საშუალოდ 139 პატიმარი იხდიდა სასჯელს და 5 წახალისების შემთხვევა დაფიქსირდა აღნიშნულ პერიოდში, ხოლო 2016 წლის პირველი 5 თვის მანძილზე 150 პატიმარი იხდიდა საშუალოდ სასჯელს და 3 წახალისების შემთხვევა იყო დაწესებულებაში.

² „საქართველოს პატიმრობის კოდექსის“ მე-15 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „ერთ მსჯავრდებულზე საცხოვრებელი ფართობის ნორმა ყველა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში არ უნდა იყოს 4 კვ. მეტრზე ნაკლები“.

³ 2016 წლის 28 ივნისს, სახალხო დამცველის აპარატში შემოსული N8309/16 წერილობითი პასუხი (MOC 9 16 00558407, 24.06.2016).

10. სასჯელადსრულების N3 დაწესებულებაში ადეკვატური სამედიცინო მომსახურების დროულად მიწოდებისა და სამედიცინო დოკუმენტაციის სათანადო წარმოების უზრუნველსაყოფად განხორციელდეს სამედიცინო პერსონალის სათანადო დაკომპლექტება და გონივრული სამუშაო განრიგის განსაზღვრა

/რეკომენდაცია არ არის შესრულებული/

სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, დაწესებულებაში ისევ მძიმეა ექიმთა და ექთნების სამუშაო პირობები. მთელი დღის განმავლობაში მთელ დაწესებულებას პირველადი ჯანდაცვის მხოლოდ ერთი ექიმი და ექთანი ემსახურებოდნენ. ასეთ ვითარებაში შეუძლებელი ხდება ექიმის მიერ პაციენტთა სრულფასოვანი მომსახურება სამედიცინო ნაწილში, პატიმართა ძირითად საცხოვრებელ საკნებში და ამასთან, სამედიცინო დოკუმენტაციის სრულფასოვნად წარმოება.

11. აღმოიფხვრას პატიმრის მიერ წერილობითი განცხადებით სამედიცინო მომსახურების მოთხოვნის მანკიერი პრაქტიკა, პატიმრები უზრუნველყოფილ იქნან დროული და ადეკვატური სამედიცინო მომსახურებით, ასევე დაცული იქნას კონფიდენციალურობის პრინციპი

/რეკომენდაცია არ არის შესრულებული/

აღსანიშნავია, რომ სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებთან საუბრის დროს N3 დაწესებულებაში მოთავსებული პატიმრები მიუთითებდნენ სამედიცინო პერსონალის ხელმისაწვდომობის პრობლემაზე, ასევე მათი მხრიდან უყურადღებობაზე. პატიმრების განმარტებით, ხშირად პირველადი სამედიცინო მომსახურების მიღებისთვის ლოდინი უწევთ. ამასთან დაწესებულებაში არსებული პრაქტიკის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ პატიმარს სურს შეხვდეს მთავარ ექიმს, განცხადებით უნდა მიმართოს მას, რის გამოც გვიანდება პატიმართან შეხვედრა.

12. უზრუნველყოფილ იქნას სასჯელადსრულების N3 დაწესებულებაში მოთავსებული პატიმრებისათვის ადეკვატური ფსიქიატრიული დახმარების დროულად მიწოდება

/რეკომენდაცია - გაზიარებულია - ნაბიჯები გადადგმულია/

სახალხო დამცველი მიესალმება აღნიშნული რეკომენდაციის გაზიარებასა და რეკომენდაციის

შესრულების მიზნით გარკვეული ნაბიჯების გადადგმას. კონკრეტულად კი, სახალხო დამცველი დადებითად აფასებს ფსიქიატრის მიერ 2016 წლისთვის პაციენტების მონახულების რაოდენობის გაზრდას.

13. საკვების მომზადებისას გათვალისწინებულ იქნას სხვადასხვა კონფესიების წარმომადგენელთა სპეციალური საჭიროებები

/რეკომენდაცია არ არის შესრულებული/

სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ გამოკითხული პატიმრების შეფასებით, საკვების მომზადებისას არ არის გათვალისწინებული სხვადასხვა რელიგიური კონფესიების წარმომადგენელთა საჭიროებები, რის გამოც ისინი ხშირად უარს აცხადებენ შეთავაზებული საკვების მიღებაზე.

14. შეისწავლოს სასჯელადსრულების N3 დაწესებულებაში არსებული მაღაზიის მოთხოვნადი პროდუქციით მომარაგების საკითხი და მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა უზრუნველყოფილი იყოს მაღაზიის პროდუქციით სათანადო მომარაგება

/რეკომენდაცია არ არის შესრულებული/

სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ გამოკითხულმა პატიმრებმა უკმაყოფილება გამოთქვეს დაწესებულების მაღაზიაში არსებული პროდუქციის სიმწირესთან დაკავშირებით. პატიმართა გადმოცემით, მათ არ აქვთ იმ პროდუქტების ჩამონათვალი (ფასებით), თუ რა პროდუქცია არის მაღაზიაში.

15. უზრუნველყოფილ იქნას N3 დაწესებულის სათანადო ხარისხის წყლით უწყვეტი მომარაგება

/რეკომენდაცია არ არის შესრულებული/

2016 წელს განხორციელებული ვიზიტის დროს, სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა შეამოწმა დაწესებულებაში არსებული წყლის სამარაგო. გამოვლინდა, რომ ცისტერნებში წყალი დაბინძურებული იყო. როგორც ჩანს, მიუხედავად დაწესებულებაში არსებული წყალმომარაგების პრობლემისა, ზემოთ მითითებული წყლის სამარაგო არ გამოიყენება პატიმართა წყალმომარაგების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად, ვინაიდან ცისტერნაში არსებულ წყალში ეყარა მკვდარი მწერები და წყალს სიძველისგან შეცვლილი ქონდა ფერი.

16. განხორციელდეს შესაბამისი ინფრასტრუქტურული ცვლილებები N3

დაწესებულებაში პატიმართა საცხოვრებელ საკნებში არსებული ფანჯრების ზომის გაზრდის მიზნით, რათა საკნები უზრუნველყოფილ იქნას ბუნებრივი და ხელოვნური ვენტილაციითა და განათებით

/რეკომენდაცია არ არის შესრულებული/

საკნებს აქვს მცირე ზომის ფანჯრები, რომელიც არის საკმაოდ მაღლა, კედელი არის დაახლოებით ნახევარი მეტრის სისქის, შესაბამისად, მზის სხივი საკნში დაუბრკოლებლად ვერ აღწევს.

17.შეისწავლოს სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში დისციპლინური სახდელის სახით სამართლო საკანში მოთავსების მომეტებული პრაქტიკა და მიიღოს ყველა გონივრული ზომა დისციპლინური სახდელების პროპორციული გამოყენების უზრუნველსაყოფად

/რეკომენდაცია არ არის შესრულებული/

აღსანიშნავია, რომ 2015 წლის ბოლო ხუთი თვის მანძილზე N3 დაწესებულებაში საშუალოდ 140⁴ პატიმარი იყო მოთავსებული და ამ ხნის მანძილზე 140 დისციპლინური სახდელი იქნა გამოყენებული, რაც შეეხება 2016 წლის პირველი ხუთი თვის მონაცემებს, აღნიშნულ პერიოდში დაწესებულებაში საშუალოდ 150 პატიმარი იმყოფებოდა და მათ მიმართ 173 დისციპლინური სახდელი იქნა გამოყენებული. შესაბამისად, 2015 წლის ბოლო 5 თვესთან შედარებით, დაწესებულებაში შეიმჩნევა დისციპლინური სახდელების გამოყენების უმნიშვნელო ზრდა.

გამოკითხულ პატიმართა განცხადებით, დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან ადგილ აქვს მათ პროვოცირებას დისციპლინური სახდელების დაკისრების ან დეესკალაციის ოთახში მოთავსების მიზნით.

18.შეისწავლოს სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში, სამართლო საკნებში ადამიანის ღირსებასთან შეუსაბამო პირობებში პატიმართა მოთავსების შემთხვევები და პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატაროს შესაბამისი ზომები

/რეკომენდაცია არ არის შესრულებული/

2016 წელს განხორციელებული ვიზიტის დროს, სამართლო საკნებში არსებული სანიტარულ-

ჰიგიენური მდგომარეობა იყო არაადამაკმაყოფილებელი.

19. დისციპლინური სახდელის დაკისრებისას იხელმძღვანელოს პროპორციულობის პრინციპით და სამართლო საკანში მოთავსება გამოიყენოს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში

/რეკომენდაცია არ არის შესრულებული/

2015 წლის ბოლო 5 თვესთან შედარებით, 2016 წლის პირველი 5 თვის მანძილზე დაწესებულებაში შეიმჩნევა დისციპლინური სახდელების გამოყენების უმნიშვნელო ზრდა.

20. სამართლო საკნებში მოთავსებულ პატიმრებს მიეწოდოთ, როგორც პირადი ჰიგიენის ნივთები, ისე ტანსაცმელი

/რეკომენდაცია არ არის შესრულებული/

2016 წელს განხორციელებული ვიზიტის დროს, სამართლო საკნებში მოთავსებულ პირებს არ ჰქონდათ გამოსაცვლელი ტანსაცმელი, პირადი ჰიგიენის ნივთები და თეთრეული.

21.უზრუნველყოს ხანმოკლე პაემნის განხორციელება მინის გამყოფი ბარიერის გარეშე

/რეკომენდაცია არ არის შესრულებული/

კვლავ პრობლემატურია ხანმოკლე პაემნის განხორციელება მინის გამყოფი ბარიერის მეშვეობით, ასეთ შემთხვევაში პატიმარი მოკლებულია ოჯახის წევრებთან ყოველგვარი ფიზიკური ურთიერთობის საშუალებას.

22.სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებაში უზრუნველყოფილი იქნას პატიმრებისთვის კანონმდებლობით მინიჭებული სატელეფონო საუბრებით სრულყოფილად სარგებლობის უფლება

/რეკომენდაცია არ არის შესრულებული/

N3 დაწესებულების დებულების თანახმად, მსჯავრდებულები ვალდებული არიან დაწესებულების დირექტორს მიაწოდონ მათი საკონტაქტო ნომრები, რომლებთანაც განხორციელებენ სატელეფონო ზარებს.⁵ ამ ნომრების გარდა, ვერ შეძლებენ სხვა ნომრებზე ზარის განხორციელებას, თუ ხელახლა არ მიმართავენ დაწესებულების დირექტორს

⁴ აღნიშნული მონაცემი მიღებულია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე, <http://www.moc.gov.ge/ka/statistika/yovelthviuri-angarishi?view=blank>

⁵ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N109, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N3 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ; მუხლი 42, პუნქტები 1,2 და 3.

წერილობით და არ შეცვლიან ტელეფონის ნომერს. აღნიშნულის გამო პრობლემური ხდება პატიმრის მიერ ისეთ უწყებებთან დაკავშირება, როგორცაა სახალხო დამცველის ოფისი, გენერალური ინსპექცია და სხვა, რადგან აღნიშნული წესი ამ ნომრებზეც ვრცელდება.

23. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N3 დაწესებულებაში პატიმრის მოთავსების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებული იქნას პატიმრის ოჯახის წევრების საცხოვრებელი ადგილი, რათა უზრუნველყოფილი იყოს პაემნის უფლებით შეუფერხებელი სარგებლობა

/რეკომენდაცია არ არის შესრულებული/

2016 წელს ჩატარებული მონიტორინგის დროს კვლავ პრობლემას წარმოადგენდა პატიმრის განთავსების დროს ოჯახის საცხოვრებელი ადგილის გაუთვალისწინებლობა. აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთ საქართველოში მცხოვრები პატიმრების ოჯახის წევრებისათვის კვლავ ფინანსურ სირთლეებთან არის დაკავშირებული ხანგრძლივი პაემნის უფლების გამოყენება

24. ტელეფონების აპარატები განთავსდეს ისეთ ადგილას, სადაც პატიმარს შეეძლება დაწესებულების თანამშრომლის მოსმენის გარეშე განახორციელოს ზარი

/რეკომენდაცია არ არის შესრულებული/

N3 დაწესებულებაში სატელეფონო ზარის განხორციელება შესაძლებელია საცხოვრებელ კორპუსებში არსებული ტელეფონის აპარატებით, რომლებიც განთავსებულია დაწესებულების თანამშრომელთა სამორიგეო ოთახში. დარეკვის დროს საუბარს ყოველთვის ესწრება მორიგე თანამშრომელი, რაც შეუძლებელს ხდის საუბრის კონფიდენციალურობის დაცვას.

6. საკანონმდებლო მიმოხილვა

6.1 საკანონმდებლო წინადადებები და ცვლილებები კანონმდებლობაში

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრმა პენიტენციურ დაწესებულებებში ფოტოგადაღების განხორციელების წესი დაამტკიცა

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 1 სექტემბრის N123 ბრძანებით „საქართველოს სახალხო დამცველის, აგრეთვე სპეციალური პრევენციული

ჯგუფის წევრის მიერ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დაწესებულებებში ფოტოგადაღების უფლების განხორციელების წესი“ დამტკიცდა.

ბრძანებაში პენიტენციურ დაწესებულებებში სახალხო დამცველის, აგრეთვე, სახალხო დამცველის წინასწარი წერილობითი თანხმობით, სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრის მიერ ფოტოგადაღების განხორციელების წესი და პირობებია გაწერილია. ასევე, ბრძანებით არის დარეგულირებული დაწესებულებებში ფოტოაპარატის შეტანის და შემოწმების პროცედურები.

აღნიშნული წესის შესაბამისად სახალხო დამცველს, აგრეთვე, სახალხო დამცველის წერილობითი თანხმობით სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრს, პენიტენციურ დაწესებულებებში, შეუძლიათ მხოლოდ ბრალდებულის/მსჯავრდებულის მისი უშუალო განთავსების ადგილის გასეირნების ადგილების, საექიმო-სამედიცინო პუნქტის, კვების ობიექტის, საერთო სარგებლობის საშხაპეების, საერთო სარგებლობის საპირფარეშოების და შეხვედრის ოთახების ფოტოგადაღება.

პენიტენციურ დაწესებულებაში ბრალდებულის/მსჯავრდებულის უშუალო განთავსების ადგილის ფოტოგადაღება ხდება მხოლოდ სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ პენიტენციურ დაწესებულების გეგმიური შემოწმებისას. სახალხო დამცველის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია ბრალდებულის/მსჯავრდებულის უშუალო განთავსების ადგილის ფოტოგადაღება მისი მხრიდან ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში თუკი განმცხადებლის უშუალო განთავსების ადგილას არის ისეთი მძიმე პირობები, რომელიც შეიძლება შეუთავსებელი იყოს ადამიანის ღირსებასთან.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრი უფლებამოსილია პენიტენციურ დაწესებულებაში განახორციელოს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა და მათი უშუალო განთავსების ადგილისა და პირობების ფოტოგადაღება მხოლოდ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა წინასწარი წერილობითი თანხმობით.

ბრალდებული/მსჯავრდებული ფოტოგადაღებაზე თანხმობას გამოხატავს

სპეციალურ ფორმაზე ხელმოწერით. აღნიშნული თანხმობა დგება ორ თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება ბრალდებულს/მსჯავრდებულს, ხოლო მეორე სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრს.

ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სხეულის დაზიანებების ფოტოგადაღება ხდება მხოლოდ საგამოძიებო ორგანოსადმი შეტყობინების მიზნით, თუკი ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა თავად აღწერს დაზიანების მიღების გარემოებებს და ითხოვს გამოძიების დაწყებას, მის მიმართ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტზე. ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ დაზიანებების აღწერა უნდა დამოწმდეს მისივე ხელმოწერით.

ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სხეულზე არსებული დაზიანების ფოტოგადაღება ხორციელდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრს მისცემს ახსნა-განმარტებას, თუ რა გარემოებაში და ვის მიერ მიაღდა სხეულის დაზიანება.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ პენიტენციური დაწესებულებების გეგმიური შემოწმების დროს ინდივიდუალურ პირთა გადაღება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრი გადმოწმების შედეგად დარწმუნდება, რომ ამ კონკრეტული შემთხვევის ფოტოგადაღება მანამდე არ განუხორციელებია სპეციალური პრევენციული ჯგუფის სხვა წევრს.

პენიტენციურ დაწესებულებაში ფოტოგადაღების უფლების მქონე პირი ფოტოგადაღების პროცესსა და გადაღებულ ფოტომასალას აღწერს ოქმში. თუკი ფოტოზე აღბეჭდილია ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა - ოქმს უნდა დაერთოს ბრალდებულის/მსჯავრდებულის თანხმობა ფოტოგადაღების შესახებ და სხეულზე დაზიანების მიყენების თაობაზე მისი ახსნა-განმარტება.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სახალხო დამცველისა და სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრის მიერ, ბრძანებით გათვალისწინებული ფოტოსურათების გამოყენება შეიძლება მხოლოდ სამსახურებრივი სარგებლობისთვის და დაუშვებელია მათი საჯაროდ გამოქვეყნება.

6.2 საერთაშორისო სტანდარტის მიმოხილვა

6.2.1 რეჟიმი და დისციპლინური პასუხისმგებლობა პენიტენციურ დაწესებულებებში

ციხის ადმინისტრაციამ მედიაციის ყველა შესაძლებლობას უნდა მიმართოს, რათა მოაგვაროს საკამათო საკითხები პატიმრებთან და პატიმრებს შორის.⁶ ნებისმიერი სახდელის სიმკაცრე ჩადენილი დანაშაულის პროპორციული უნდა იყოს.⁷ დასჯის თვალსაზრისით აკრძალულია კოლექტიური და ფიზიკური დასჯა, რომელიც ითვალისწინებს პირის მოთავსებას ბნელ საკანში; ასევე აკრძალულია სხვა არაადამიანური და ღირსების შემლახავი სახდელები.⁸ დისციპლინური სახდელი არ უნდა მოიცავდეს ოჯახთან კონტაქტის სრულად აკრძალვას.⁹

დისციპლინური პასუხისმგებლობის პროცედურების არსებობა მნიშვნელოვანია პენიტენციურ დაწესებულებებში წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. დაწესებულების ადმინისტრაციისა და პატიმრების ინტერესშია, რომ არსებობდეს ნათლად განსაზღვრული პროცედურები, რომლებიც იქნება ოფიციალურად გაწერილი და პრაქტიკაში გამოყენებული. ამ კუთხით არსებული ხარვეზები არაოფიციალური და არაკონტროლირებადი სისტემების შესაძლებლობას წარმოშობს.¹⁰

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, საქმეში გულმეზი თურქეთის წინააღმდეგ [GÜLMEZ v. TURKEY]¹¹ დისციპლინურ სახდელების დაკისრებასთან დაკავშირებით კანონმდებლობის ანალიზისას ხაზი გაუსვა იმას, რომ ციხის დისციპლინის მარეგულირებელი ახალი ნორმები, რომლებიც შეიცავს დასჯადი ქმედებების ჩამონათვალს და სანქციებს, არის ზედმიწევნით ზუსტი, დეტალური და წარმოადგენს მნიშვნელოვან გარანტიას არამართლზომიერი ჩარევისგან დასაცავად.

⁶ იქვე, წესი 56.2

⁷ იქვე წესი 60.2

⁸ იქვე წესი 60.3

⁹ იქვე წესი 60. 4

¹⁰ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის 2015 წლის ვიზიტი მალტაში, პარა 80, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: <http://hudoc.cpt.coe.int/eng?i=p-mlt-20150903-en-29>

¹¹ იხ. თურქეთის წინააღმდეგ (GÜLMEZ v. TURKEY) პარა 61, (Application no. 16330/02)

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში ხაზს უსვამს სამართლის ნორმის განჭვრეტადობის მნიშვნელობას.¹² კონკრეტულად კი, კანონი უნდა იყოს ისე მკაფიოდ ჩამოყალიბებული, რომ ინდივიდს ჰქონდეს შესაძლებლობა განჭვრიტოს აღმასრულებლის უფლებამოსილებისა და სანქციის გამოყენების ფარგლები.

უნდა აღნიშნოს, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ განსაზღვრავს, თუ რომელი დისციპლინური სახდელი უნდა დაეკისროს დამრღვევს კონკრეტულ შემთხვევაში, რაც დაწესებულების ხელმძღვანელ პირებს საკმაოდ ფართო დისკრეციას აძლევს დისციპლინური სახდელის შერჩევის პროცესში და ზრდის სახდელების არაპროპორციულად გამოყენების რისკს.

სახალხო დამცველის მიერ არაერთხელ გაიცა რეკომენდაცია სასჯელადსრულებისა და პრობაციის სამინისტროსადმი, რათა შემუშავებულ იქნას დისციპლინური სახდელების გამოყენების სახელმძღვანელო პრინციპები და შესაბამისად შესაძლებელი გახდეს დისციპლინური სახდელების ერთგვაროვანი გამოყენება. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული რეკომენდაცია დღემდე შეუსრულებელია.

დისციპლინური სახდელების გამოყენებისას მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს, დისციპლინური სახდელების გამოყენება უნდა კანონის უზენაესობის პრინციპებთან შესაბამისობაში და პატიმრების ინფორმირება მათი უფლებების შესახებ.

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის რეკომენდაციის შესაბამისად, პატიმრებს დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეთ დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილება, რომელშიც მოცემული უნდა იყოს, როგორც დისციპლინური სახდელის დაკისრების მიზეზები, აგრეთვე გასაჩივრების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაცია.¹³

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ პატიმრებს ჰქონდეთ იმის შესაძლებლობა, რომ გაასაჩივრონ დისციპლინური სახდელის დაკისრება

დამოუკიდებელ ორგანოში, მიუხედავად დაკისრებული სახდელის ხანგრძლივობისა და სიმკაცრისა.¹⁴

პატიმრები ინფორმირებულები უნდა იყვნენ დისციპლინური პასუხისმგებლობის წესებთან დაკავშირებით. ევროპული ციხის წესების თანახმად, დისციპლინური სასჯელი გამოყენებულ უნდა იქნეს, როგორც უკიდურესი საშუალება.¹⁵

6.3 საერთაშორისო სტანდარტის ასახვა შიდა კანონმდებლობასა და პრაქტიკაში

სახალხო დამცველი მიესალმება სასჯელადსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ პრევენციის ეროვნული მექანიზმის იმ რეკომენდაციის გაზიარებას და შესრულებისკენ მიმართული ნაბიჯების გადადგმას, რომელიც გულისხმობდა დაზიანებების დოკუმენტირებას „სტამბოლის პროტოკოლით“ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად.

2016 წლის 26 ოქტომბერს პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად პატიმართა დაზიანების აღრიცხვის წესი დამტკიცდა, რომელიც 2017 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა.¹⁶

დოკუმენტის მიზანია პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ფაქტების ეფექტური, სწრაფი და მიუკერძოებელი გამოძიების ხელშეწყობა და ექიმის მიერ შესაბამისი სამედიცინო სახის მტკიცებულებათა დროული და ზუსტი დოკუმენტირება. ბრძანებაში განსაზღვრულია სამედიცინო შემოწმების დაწყების წინაპირობები, ექიმის მიერ მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალობა და შემდგომი რეაგირების საკითხები. წესის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს დაზიანებათა ფერადი

¹⁴ იქვე პარა 86

¹⁵ ციხის ევროპული წესები. წესი 56.1

¹⁶ საქართველოს სასჯელადსრულებისა და პრობაციის მინისტრის N131 ბრძანება, საქართველოს სასჯელადსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ, 27 ოქტომბერი 2016 წელი.

¹² იხ. Hasan and Chaush v. Bulgaria, 30985/96, § 84, ECHR 2000-XI.

¹³ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის 2015 წლის ვიზიტი მალტაში, პარა 75, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: <http://hmdoc.cpt.coe.int/eng/?!p=bih-20150929-en-2>

ფოტოგრაფირების ვალდებულება, რომელიც უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ ფოტოზე აისახოს, როგორც დაზიანებათა ხარისხი (სიგრძე, სიღრმე და ა.შ.).

დაზიანებების დოკუმენტირებასთან დაკავშირებით ასევე აღსანიშნავია ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის ახალი ფორმის დამტკიცება, რომელიც ითვალისწინებს დაზიანებების სპეციალურ დიაგრამაზე მონიშვნას და მის დეტალურ აღწერას.

ბრძანების თანახმად, ექიმი ვალდებულია, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სხეულზე დაზიანებათა აღმოჩენის შემთხვევაში, ამის შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ მიაწოდოს შესაბამის ორგანოებს, დროული და სათანადო რეაგირების მიზნით.

სახალხო დამცველი იმედს გამოთქვამს, რომ აღნიშნული წესი ეფექტურად განხორციელდება პრაქტიკაში და ხელს შეუწყობს დაზიანებების სრულყოფილ დოკუმენტირებასა და არასათანადო მოპყრობის შესაძლო ფაქტების გამოვლენას.

7. ფოკუსი

7.1 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა სახელმწიფო ზრუნვის დაწესებულებებში



ფოტო: საქართველოს სახალხო დამცველი

2016 წლის 21 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველმა წარმოადგინა სპეციალური ანგარიში, რომელიც ასახავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მდგომარეობას სახელმწიფო ზრუნვის დაწესებულებებში და აღნიშნული დაწესებულებების მონიტორინგის შედეგებს.

მონიტორინგი განხორციელდა საქართველოს სახალხო დამცველისთვის მინიჭებული ორი მნიშვნელოვანი მანდატის – პრევენციის

ეროვნული მექანიზმის და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციის აღსრულების მონიტორინგის მექანიზმის საქმიანობის ფარგლებში.

სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა სახელმწიფოს ხუთ რეზიდენტულ დაწესებულებაში: თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლში, კოჯრის შშმ ბავშვთა სახლში, ძეგრის, დუშეთისა და მარტყოფის შშმ პირთა პანსიონატებში განთავსებული ბენეფიციარების უფლებათა დაცვის ხარისხი და გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციით, სხვა საერთაშორისო დოკუმენტებით და ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებთან მისი შესაბამისობა შეამოწმეს.

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სადღეღამისო სპეციალიზებული დაწესებულებების ინსტიტუციური მოწყობა, არაადაპტირებული ინფრასტრუქტურა, პროფესიული და დამხმარე კადრების სიმწირე, ფსიქო-სოციალური სერვისებისა და პროფესიული კადრების ნაკლებობა და დაბალი პროფესიონალიზმი, გარესამყაროსთან და ოჯახებთან (მათ შორის შვილებთან) კონტაქტის სიმწირე, სოციალური პასიურობა და საზოგადოებისგან იზოლაცია, ასევე დაწესებულების ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ხარვეზები და სამედიცინო დახმარებასთან დაკავშირებული გამოწვევები შეუძლებელს ხდის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისათვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სერვისის მიწოდებას, რაც ბენეფიციართა უფლებების უხეში დარღვევების, მათ შორის, დისკრიმინაციული მოპყრობის მაპროვოცირებელი ხდება, ზოგჯერ კი იწვევს შშმ პირთა სიცოცხლის უფლების დარღვევას. ამასთან ბენეფიციართა უსაფრთხოებაზე, მათ ემოციურ, ფსიქოლოგიურ კეთილდღეობასა და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ზრუნვა, ასევე სერვისის მიმწოდებელთა მიერ ძალადობის სამართლებრივი რეგულაციებისა და სტანდარტების ცოდნის დონე უკიდურესად დაბალია. ბენეფიციარები არ არიან ინფორმირებული საკუთარი უფლებების შესახებ. დაწესებულებების ხელმძღვანელებს აღნიშნული საკითხების გათვალისწინება არ მიაჩნიათ ზრუნვის მნიშვნელოვან სტანდარტად.

გამოვლენილ პრობლემებთან დაკავშირებით სახალხო დამცველმა შეიმუშავა რეკომენდაციები სახელმწიფო უწყებების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სადღეღამისო სპეციალიზებული დაწესებულებების და ბავშვთა სახლების ადმინისტრაციის მიმართ.

8. ექსპერტის მოსაზრება

პრევენციის ეროვნული მექანიზმის საკონსულტაციო საბჭოს წევრის, ანა არგანაშვილის მოსაზრება, სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიშის „სახელმწიფო ზრუნვის დაწესებულებებში შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ“.



საქართველოს სახალხო დამცველის მონიტორინგის ანგარიშები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაწესებულებებში არსებული მდგომარეობის გასაცნობად, ფაქტობრივად ერთადერთი და უნიკალური წყაროა.

ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლის სტანდარტის შესაბამისად, შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით, ადამიანის საზოგადოებიდან გარიყვა და ერთ შენობაში გამოკეტვა, ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დარღვევაა.

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენციის მე-19 მუხლის აღნიშნავს:

„წინამდებარე კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ყველა პირის თანაბარ უფლებას, სხვებთან თანასწორი არჩევანით იცხოვრონ საზოგადოებაში და იღებენ ეფექტურ და შესაბამის ზომებს, რათა ხელი შეუწყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ამ

უფლების სრულ რეალიზებასა და მათ სრულყოფილ ჩართვას ადგილობრივ საზოგადოებაში“.

სწორედ აღნიშნული კონვენციის მე-19 მუხლის, საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით გარანტირებული თანასწორობის უფლებისა და სხვა ფუნდამენტური უფლებების დარღვევაა საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა იზოლირებული დაწესებულებების არსებობა. მათი მეშვეობით, ეს ადამიანები მოწყვეტილნი არიან საზოგადოებრივ ცხოვრებას, დარღვეული აქვთ განათლებისა, დასაქმების, რეაბილიტაციის, პირადი ცხოვრების უფლებები, ექვემდებარებიან ძალადობასა და სხვა სახის არასათანადო მოპყრობას.

სახალხო დამცველის ანგარიში ამ დაწესებულებების შესახებ წარმოადგენს სისტემურ და ობიექტურ სურათს, რომელსაც საქართველოს პარლამენტი თუ სხვა დაინტერესებული პირები ეცნობიან.

მასში აღწერილია ადამიანის უფლების დარღვევისა და დისკრიმინაციული მოპყრობის ისეთი შემთხვევები, რომელიც ზოგჯერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სიცოცხლის უფლების დარღვევასაც კი იწვევს.

რომ არა სახალხო დამცველის ეს ანგარიში, საზოგადოებისათვის დიდი ხნის მანძილზე უცნობი დარჩებოდა ის ფაქტი, რომ, „მაგ. დუშეთის შშმ პირთა პანსიონატის ბენეფიციართა გადმოცემით, წლების განმავლობაში დაგროვილი გადაუჭრელი პრობლემებისა და მათი უფლებების დარღვევის გამო (ტანსაცმლისა და საკვების პრობლემა ან სპეციალური დამხმარე საშუალებების და ორთოპედიული ფეხსაცმლის, სხვა ბენეფიციარის მიერ მასზე გახორციელებული ძალადობა, სერვისის მიმწოდებლების მხრიდან არაპუმანური მოპყრობა, უფლებების რეალიზების მიზნით მხარდაჭერაზე უარი), ინდივიდუალურად ან ჯგუფურად მიმართავდნენ ფილიალის ხელმძღვანელობას, მაგრამ პრობლემების გადაჭრის ნაცვლად... თანამშრომლები მათ „უმაღურებს“ უწოდებდნენ ან ამაღლიდნენ პანსიონატში ცხოვრებასა და „ამდენ პატივისცემას“, რის გამოც ბენეფიციარები პერიოდულად პროტესტის უკიდურეს ზომას (შიშშილობა, თვითდაზიანება, გზის გადაკეტვა, პოლიციის გამოძახება) ან არასამთავრობო ორგანიზაციებს და სახალხო დამცველის აპარატს მიმართავენ“.

სამწუხაროა ის ფაქტი, რომ სახალხო დამცველის მიერ წარმოდგენილი ანგარიში და მასში გამოვლენილი დარღვევები ჯერ კიდევ არ ხდება სათანადო რეაგირების საგანი სამართალდამცავების და სხვა სახელმწიფო ორგანოების მხრიდან. გადაუჭრელია მასში აღწერილი არასათანადო მოპყრობისა და ძალადობის ფაქტები.

აღნიშნული მოვლენა კი, იმითაა გამოწვეული, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების უწყებები, ჯერ კიდევ ვერ აცნობიერებენ სახალხო დამცველის ანგარიშში მოცემული რეკომენდაციების შესრულების აუცილებლობას, რომელიც მათი ფორმალური ნებაყოფლობითი ხასიათს მიუხედავად, სავალდებულოა ადამიანის უფლებების სტანდარტისა და სამართლებრივი სახელმწიფოს კონსტიტუციური პრინციპის შესაბამისად.

ორგანიზაცია „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“, რომელსაც მე წარმოვადგენ და მრავალი სხვა არასამთავრობო ორგანიზაცია, სწორედ სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფარგლებში შექმნილი ანგარიშების საფუძველზე განსაზღვრავს სამუშაო პრიორიტეტებს, სამართლებრივი საქმისწარმოების მიმართულებებსა და ადვოკატირების სტრატეგიებს. ამ უკანასკნელთა განხორციელებაში კი ხშირად ყველაზე ძლიერ და სანდო პარტნიორად, კვლავ სახალხო დამცველის აპარატი მოიაზრება.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინსტიტუციების შესახებ რეგულარული ანგარიშების გამოქვეყნება, გახლავთ აუცილებელი ამ ადამიანების უფლებების დაცვის სისტემური რეფორმების დასაჩქარებლად. იმ ვალდებულებების შესასრულებლად, რომელიც გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენციის რატიფიცირებით იკისრა სახელმწიფომ. ამ ადამიანების ხმებისა და ცხოვრების ისტორიების ჩვენამდე მოსატანად, რომელიც ნათელს ხდის რომ ჩვენი საზოგადოება ჯერ კიდევ ვერ ახერხებს განსხვავებულის თანასწორად მოპყრობას, ხოლო სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს მათთვის ღირსეული ცხოვრების მინიმალური პირობების შექმნას.

9. საერთაშორისო სიახლეები


„პრევენცია პრაქტიკაში“ - წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი

მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატიური ოქმის 10 წლისთავის აღსანიშნავად გამოქვეყნებული ბუკლეტი

აღნიშნული ბუკლეტი შეიმუშავა წამების პრევენციის ასოციაციამ, გაეროს წამების წინააღმდეგ ფაკულტატიური ოქმის მიღების 10 წლისთავის აღსანიშნავად.¹⁷ ბუკლეტში წარმოდგენილია ბოლო 10 წლის განმავლობაში, წამების პრევენციის კუთხით, პრევენციის ეროვნული მექანიზმების მიერ მიღწეული წარმატებები. ბუკლეტის ერთ-ერთ თავში – „ციხის გადატვირთულობის პრობლემის აღმოფხვრის ხელშეწყობა“, მოცემულია ინფორმაცია საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის შექმნის, მისი შემადგენლობის, მუშაობის სტრუქტურისა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის შესახებ.

ბუკლეტში საუბარია პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ სხვადასხვა დახურული ტიპის დაწესებულებების რეგულარული მონიტორინგის შესახებ. ამავე დროს, ხაზგასმულია პრევენციის ეროვნული მექანიზმის როლი სახელმწიფოს სხვადასხვა სტრუქტურებთან არასათანადო მოპყრობის საკითხებზე გაცემულ რეკომენდაციებსა და ადვოკატირებასთან დაკავშირებით.

¹⁷ წამების პრევენციის ასოციაცია, „პრევენცია პრაქტიკაში“ - წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატიური ოქმის 10 წლისთავის აღსანიშნავად გამოქვეყნებული ბუკლეტი, 2016 წელი, იხ. http://www.apr.ch/content/files_res/putting-prevention-into-practice-opcat10.pdf



პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტი 2016 წელი

2009 წლის 16 ივლისს "სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებების თანახმად სახალხო დამცველის ასრულებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმით გათვალისწინებული პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციებს.

საქართველოს სახალხო დამცველი ან სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრი ამოწმებს დაკავების, წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების შეზღუდვის სხვა ადგილებში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობას. პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციების შესრულების მიზნით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შექმნილია პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტი, რომელიც რეგულარულად ამოწმებს დაკავებულ, პატიმრობაში მყოფ ან სხვაგვარად თავისუფლებაზე შეზღუდულ პირთა და მსჯავრდებულთა მდგომარეობას და მათდამი მოპყრობას წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისაგან ან სასჯელისაგან დაცვის მიზნით.

კონტაქტი:

ნინო რამიშვილის 6. თბილისი 0179

ტელ: +99532 2234499/2913814/2913815/
2913841/2913842/2913843/2913875/2913876

ფაქსი: +99532 913841

ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge

ვებ-საიტი: www.ombudsman.ge

ბათუმი:

მაზნიაშვილის ქუჩა N9

ტელ: 0422 27 05 44

მობ: 577 50 52 31

ზუგდიდი:

კოსტავას 58

ტელ: 0415 22 36 11

მობ: 577 50 52 34

ახალქალაქი:

ჭავჭავაძის ქუჩა 4

ტელ: 0362 22 32 83

მობ: 577 12 27 70

თელავი:

ჩოლოყაშვილის ქ.3

ტელ: 0350 27 99 27

მობ: 591 88 35 38

ქუთაისი:

რუსთაველის ქ. 18

ტელ: 0431253350

მობ: 577 55 33 81

გორი:

სამების ქუჩა N1

ტელ: 0370270549

მობ: 577 78 27 42

მარნეული:

რუსთაველის ქუჩა N51

ტელ: 0357 221970

ოზურგეთი :

დავით აღმაშენებლის N9

ტელ: 0496 27 30 53